საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# საქართველოს რკინიგზა

## 2026 წლის II კვარტალი

19.08.2026
www.geostat.ge

19.08.2026

## სარკინიგზო ტრანსპორტის ძირითადი მაჩვენებლები
## (2026 წლის II კვარტალი)

2026 წლის II კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს რკინიგზით გადატანილია 19.9 პროცენტით მეტი, სულ 3.9 მილიონი ტონა ტვირთი. აღნიშნული მოცულობის 6.7 პროცენტი მოდიოდა ადგილობრივ გადაზიდვაზე, 33.5 პროცენტი — საერთაშორისო გადაზიდვაზე (არ მოიცავს ტრანზიტს), ხოლო 59.8 პროცენტი — ტრანზიტზე.

**რკინიგზით გადაზიდული ტვირთის წონა ტრანსპორტირების ტიპის მიხედვით**
(ათასი ტონა)




2026 წლის II კვარტალში საერთაშორისო გადაზიდვის რეჟიმში რკინიგზით გადატანილი ტვირთის ჯამური მოცულობის 75.3 პროცენტი მოდიოდა ქვეყანაში შემოტანილ ტვირთზე, 24.7 პროცენტი კი — ქვეყნიდან გატანილზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საერთაშორისო გადაზიდვების რეჟიმში რკინიგზით გადატანილი ტვირთის სტრუქტურა კვარტალების მიხედვით:

**საერთაშორისო გადაზიდვების რეჟიმში რკინიგზით გადატანილი ტვირთის სტრუქტურა**
(ათასი ტონა)




2026 წლის II კვარტალში რკინიგზით შემოტანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 38.0 პროცენტის გამომგზავნ ქვეყანას რუსეთის ფედერაცია წარმოადგენდა, 22.7 პროცენტის გამომგზავნს — აზერბაიჯანი, თითოეული დანარჩენი გამომგზავნი ქვეყნების წილი კი 10-10 პროცენტზე ნაკლები იყო (ჯამურად 39.3 პროცენტი).

2026 წლის II კვარტალში რკინიგზით გატანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 17.4 პროცენტის დანიშნულების ქვეყანას სომხეთი წარმოადგენდა, 10.1 პროცენტისას — რუსეთის ფედერაცია, 7.1 პროცენტისას — ყაზახეთი, ტვირთის მიმღები თითოეული დანარჩენი ქვეყნების წილი კი შედარებით ნაკლები იყო (ჯამურად 65.4 პროცენტი).

2026 წლის II კვარტალში ტრანზიტით გადატანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის[1] განაწილება დანიშნულების ქვეყნის მიხედვით შემდეგნაირი იყო: 8.2 პროცენტი — თურქეთი, 8.1 პროცენტი — ნიდერლანდები, 5.5 პროცენტი — ჩინეთი, 2.0 პროცენტი — რუმინეთი, 1.8 პროცენტი — იტალია, 1.2 პროცენტი — უკრაინა, დანარჩენი კი სხვა ქვეყნებზე მოდიოდა. ამავე პერიოდში, ტრანზიტით გადატანილი ტვირთის 6.6 პროცენტის გამომგზავნ ქვეყანას ბრაზილია წარმოადგენდა, 2.5 პროცენტისას — თურქეთი, ხოლო დანარჩენი სხვა ქვეყნებზე მოდიოდა.

[1]მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის მიზნიდან გამომდინარე, ცალკეული ქვეყნიდან/ქვეყანაში გადატანილი ტვირთის მოცულობის მაჩვენებლები არ არის მითითებული.

საანგარიშო პერიოდში, რკინიგზით გადატანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 32.7 პროცენტი მოდიოდა კოქსისა და რაფინირებული ნავთობპროდუქტების სასაქონლო ჯგუფზე; 22.2 პროცენტი — ქიმიკატების, ქიმიური პროდუქტების და ხელოვნური ბოჭკოების; რეზინის და პლასტმასის პროდუქტების სასაქონლო ჯგუფზე, ხოლო 13.7 პროცენტი — საკვებ პროდუქტებზე, სასმელებზე და თამბაქოზე.

2026 წლის II კვარტალში სასაქონლო ჯგუფების მიხედვით განაწილება განსხვავებული იყო ადგილობრივი გადაზიდვების შემთხვევაში და 54.5 პროცენტი ლითონის მადანსა და სხვა სამთო და კარიერულ პროდუქტებზე მოდიოდა, 16.6 პროცენტი ეჭირა კოქსსა და რაფინირებულ ნავთობპროდუქტებს, ხოლო 16.0 პროცენტი — სატრანსპორტო აღჭურვილობის სასაქონლო ჯგუფს.

რაც შეეხება საერთაშორისო გადაზიდვებს, საანგარიშო პერიოდში რკინიგზის საშუალებით ძირითადად შემოტანილია კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები (38.6 პროცენტი), სხვა არამეტალური მინერალური პროდუქტები (13.2 პროცენტი), ლითონის მადანი და სხვა სამთო და კარიერული პროდუქტები (12.5 პროცენტი), ქვანახშირი და ლიგნიტი; ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი (12.4 პროცენტი), ძირითადი ლითონები (7.9 პროცენტი), საკვები პროდუქტები, სასმელები და თამბაქო (6.8 პროცენტი), ქიმიკატები, ქიმიური პროდუქტები და ხელოვნური ბოჭკოები (2.6 პროცენტი), ხე და ხის კორპის პროდუქტები (2.1 პროცენტი), სოფლის მეურნეობის, ნადირობისა და მეტყევეობის პროდუქტები (1.9 პროცენტი), მანქანები და აღჭურვილობა (1.1 პროცენტი); ხოლო გატანილია ქიმიკატები, ქიმიური პროდუქტები და ხელოვნური ბოჭკოები (34.7 პროცენტი), საკვები პროდუქტები, სასმელები და თამბაქო (27.3 პროცენტი), ძირითადი ლითონები (11.3 პროცენტი) და ლითონის მადანი და სხვა სამთო და კარიერული პროდუქტები (10.8 პროცენტი).

2026 წლის II კვარტალში ტრანზიტული ტვირთის მთლიანი მოცულობის 83.6 პროცენტი სამ სასაქონლო ჯგუფზე მოდიოდა, კერძოდ: კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები (36.2 პროცენტი), ქიმიკატები, ქიმიური პროდუქტები და ხელოვნური ბოჭკოები (31.1 პროცენტი), საკვები პროდუქტები, სასმელები და თამბაქო (16.3 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოში რკინიგზით გადატანილი ტვირთების სტრუქტურა 2026 წლის II კვარტალში:

19.08.2026

**რკინიგზით გადატანილი ტვირთების სტრუქტურა**
**სასაქონლო ჯგუფების მიხედვით**




2026 წლის II კვარტალში საქართველოს რკინიგზის მიერ გადაყვანილია 425.8 ათასი მგზავრი, რაც 0.5 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ამავე პერიოდში მგზავრთბრუნვის მოცულობამ 91.7 მილიონი მგზავრ-კილომეტრი შეადგინა, რაც 2.3 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

2026 წლის II კვარტალში ადგილობრივი მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილია 408.4 ათასი მგზავრი, რაც რკინიგზით გადაყვანილი მგზავრების მთლიანი რაოდენობის 95.9 პროცენტს შეადგენს და 3.4 პროცენტით ჩამორჩება 2025 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ამასთან, საერთაშორისო მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილია 17.4 ათასი მგზავრი, რაც დაახლოებით 3.5-ჯერ აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. საერთაშორისო მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილი მგზავრების 33.4 პროცენტი შემოვიდა აზერბაიჯანიდან, 21.4 პროცენტი შემოვიდა სომხეთიდან, 33.7 პროცენტი გავიდა აზერბაიჯანის მიმართულებით, ხოლო 11.5 პროცენტი გავიდა სომხეთის მიმართულებით.

**რკინიგზით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა,**
(ათასი კაცი)




**საკონტაქტო პირები:**

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge